# მომსახურების ხელშეკრულება № ბ 012

ქ.თბილისი

9 თებერვალი, 2011წ.

სსიპ "ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი", წარმოდგენილი დირექტორის, ზაზა შონიას სახით (შემდგომში "დამკვეთი"), ერთის მხრივ და ინდ. მეწარმე "ლალი დაგლას-ჰამილტონი" (ს/კ 01010006386) (შემდგომში "მუშაკი") მეორეს მხრივ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, შესყიდვების კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ბ. ქვეპუნქტის თანახმად, ვთანხმდებით რა, გამარტივებული შესყიდვის პირობებს, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. "დამკვეთი" "მუშაკს" ავალებს 2011 წლის 9 თებერვალს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გასამართი დონორთა საკოორდინაციო შეხვედრის სინხრონული თარგმანით უზრუნველყოფას.
2. "მუშაკის" ანაზღაურება შეადგენს 365.00 (სამასსამოცდახუთი) ლარს. აღნიშნული თანხა მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3. მუშაკი იღებს ვალდებულებას რომ სამუშაოს შეასრულებს პირნათლად, ყოველგვარი ხარვეზების გარეშე.
4. შესრულებული სამუშაოს ღირებულების გადახდა ხდება მისი დამთავრებიდან ათი საბანკო დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
5. სამუშაოს უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში ხარვეზის გამოსწორების ხარჯი ეკისრება "მუშაკს".
6. სანარდო ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე (09.02.2011), წარმოადგენს "მუშაკის" სამუშაოზე დაშვების საფუძველს და მოქმედების ვადა განისაზღვრება 2011 წლის 15 თებერვლის ჩათვლით. წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ურთიერთობის გაგრძელება დასაშვებია, მხოლოდ ახალი ხელშეკრულების საფუძველზე.
7. სანარდო ხელშეკრულება შედგენილია ორ, თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად. ერთი ინახება "დამკვეთთან", მორე – "მუშაკთან".

*"დამკვეთი"*

სსიპ
„ ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი "

მის.: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12
საიდენტიფიკაციო კოდი: 204504875

საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
ანგარიშის № 200122900
ბანკის კოდი: 220 101 222

დირექტორი

ზაზა შონია

*"მუშაკი"*

ინდ. მეწარმე
„ლალი დაგლას-ჰამილტონი"

მის.: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ.№46, კორპ. 1, ბინა 5
საიდენტიფიკაციო კოდი: 01010006386

საბანკო რეკვიზიტები:
ბანკი "რესპუბლიკა"
ბანკის კოდი: 220101757
ანგარიშის № GE32BR0000003608076057

ინდ. მეწარმე

ლალი დაგლას-ჰამილტონი